ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 22

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის „13“ „მაისი“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნათა შესაბამისად სსიპ « სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის » მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის გზით.

ერთის მხრივ სსიპ « სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა » (შემდგომში **შემსყიდველი)** დირექტორის გიორგი შუხოშვილის სახით, **მისამართი:** გარდაბნის რაიონი, სოფ.სართიჭალა ს/კ. 226575024, **ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს « ელექტრონი »-ს/კ208218132** (შემდგომში **მიმწოდებელი), მისამართი: იურ/მისამ : გარდაბნის გზატკეცილი №48, ფიზ.მისამართი აგლაძის**—7/ა,ტ :91-11-21, **საბანკო რეკვიზიტები:** პროკრედიტ ბანკი ც/ფ 220101922, ა/ა GE22PC0133600100037372

ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მანქანის სარეცხი (შემდგომში **საქონელი**) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. **ხელშეკრულების ფასი** შეადგენს:

330(სამასოცდაათი) ლარს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.3 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2.4 საქონლის ერთეულის ფასია 1ცალი 330(სამასოცდაათი) ლარი

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3.3. მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაცია, (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი).

3.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასათანადოთ შეფუთული, ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი, თანმხლები დოკუმენტაციის არმქონე საქონლის მიღებაზე.

3.6 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3.7 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

3.8 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

3.9 საქონლის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.10 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10(ათი) დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და ქონებრივად უნაკლო საქონელი.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოთოს ანაზღაურება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისათვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
7.2 ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არაეითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

91. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 2 % პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.2 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მიმწოდებლის მიერ, საქონლის მიწოდების ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2 %-ს შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 2 %-ის ოდენობით და გაწყვიტოს ხელშეკრულება.
11.3 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი ცალმხრივად და დაუსაბუთებლად (გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთვევებისა) გაზრდის საქონლის ერთეულის ფასს შემსყიდველს უფლება აქვს გაწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 2 %-ის ოდენობით.
11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს „მიმწოდებელს" ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
12.1.1.თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
12.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
12.3.1.თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
12.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
12.3.3.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. კონტროლს ახორციელებს სსიპ "სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის" კომერციული დირექტორი ნუგზარ ღვალაძე.
13.2. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
13.2.1. გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
13.2.2. დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს.
13.2.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31მაისამდე

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ "სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა"	შპს"ელექტრონი"
ს.კ. 226575024	ს/კ 208218132
სს "საქართველოს ბანკი"	პროკრედიტ ბანკი ც/ფ.
კოდი 220101502	ბანკის კოდი 220101922
ანგარიშის ნომერი 188421500	ა/ა CE22PC0133600100037372
გიორგი შუხოშვილი	